07/08/2026

MES 6 26 0001024619

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლა:
გრიგოლ მურღულია - სკოლის დირექტორი
სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლა:
მზია გოგაძე - სკოლის დირექტორი
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზია:
მარკოზ ბულუხია - სკოლის რექტორი;
ნუკა აბრამიძე - სკოლის რექტორის მოადგილე.
სსიპ - მიხეილ მურვანიშვილის სახელობის დაბა სურამის საჯარო სკოლა:
ჟანა ტაბატაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლა:
ა) ნანა კაცაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზია:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაკა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო თედიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 24 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - მიხეილ მურვანიშვილის სახელობის დაბა სურამის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრს დაუკავშირდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზიის ავტორიზაციის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ექსპერტი და ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, ითხოვა საკითხის მე-2 საკითხად გადმოტანა.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - მიხეილ მურვანიშვილის სახელობის დაბა სურამის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

1. შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 25 და 26 ივნისს. სკოლას სურდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 700. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 700 მოსწავლისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული იყო 576 მოსწავლე, თუმცა, ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ თვითშეფასებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი და ზღვრულ რაოდენობად სკოლას სურდა 700 მოსწავლის განსაზღვრა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ ვიზიტის დროისთვის სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა, ძირითადი ნაწილი სკოლას უკვე დასრულებული ჰქონდა. მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი და სივრცე, კეთილმოწყობილი და სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდებოდა თუ არა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ ძირითადი სამუშაოები სკოლაში დასრულებული იყო, მიმდინარეობდა ავეჯის განლაგება და შესაბამისად, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლას ექნებოდა სრულად აღჭურვილი საკლასო ოთახები და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სივრცეები.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, როგორ გეგმავდა სკოლა, მისიისა და ხედვის რეალურად განხორციელებას და ასევე, ჰქონდა თუ არა სკოლას შემუშავებული მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც შეამოწმებდა განხორციელდა თუ არა სკოლის მისია და ხედვა. სკოლის დირექტორმა, გრიგოლ მურღულიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მისია და ხედვა არ შექმნილა მხოლოდ თეორიული მიზნებისთვის, მისი თქმით, სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა მექანიზმების შემუშავებისთვის. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აღზრდის სისტემას, მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან სკოლა აპირებდა ინტენსიური შეხვედრების დაგეგმვას, რათა მისია, ხედვა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ეცნობებინათ სასკოლო საზოგადოებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 24 ივლისი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:46
დასრულების დრო - 14:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების, მე-20 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლას (ს/კ: 405843663) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 24 ივლისი.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ლისი, ლაპლაპას მიწა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ლისი, ლაპლაპას მიწა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ლისი, ლაპლაპას მიწა

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის აგვისტოში ძირითადი იჯარის ხელშეკრულების საბოლოო რედაქციით გაფორმებისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საკუთარი პროფილის შექმნისა და

გააქტიურების, ხოლო, **2026 წლის დეკემბერში** შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან მიმართვის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის პასუხისმგებელ ორგანოსთან შეთანხმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2.ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზიაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 11 და 12 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 260. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 260 მოსწავლისთვის. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ თვითშეფასებაში დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად სურდა 234 მოსწავლის განსაზღვრა, თუმცა, დაწესებულებამ, მოგვიანებით ცენტრში წარმოადგინა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნავდა, რომ თვითშეფასებაში ფიქსირდებოდა ხარვეზი და ნაცვლად 234 მოსწავლისა, უნდა ყოფილიყო 260 მოსწავლე. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა აღნიშნული გარემოება.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები); მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი და სივრცე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ გიმნაზია ქმნიდა საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობდა თავისუფალი, პასუხისმგებლიანი და ღირებულებებზე ორიენტირებული მოქალაქის ჩამოყალიბებას. სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი მიღწევები როგორც აკადემიური, ისე ხელოვნებისა და სპორტის მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -15:10
დასრულების დრო - 15:14

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზიას (ს/კ: 429649044) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ვანი, სანაპიროს ქუჩა N25
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი ვანი, სანაპიროს ქუჩა N25
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ვანი, სანაპიროს ქუჩა N25

3. სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა კაცაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 14 და 15 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა ორ მისამართზე - შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუნდაური, 1-ელი ქუჩის II ჩიხი N1 და დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N2- ში.
ექსპერტმა, ნანა კაცაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ნანა კაცაძემ, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების ძირითადი შენობა იყო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, როგორ გეგმავდა სკოლა მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრას. ექსპერტის თქმით, ის მასწავლებლები, რომელთაც არ ჰქონდათ დადასტურებული კომპეტენცია, გეგმავდნენ გამოცდაზე გასვლას და კვალიფიკაციის დადასტურებას. სკოლის დირექტორმა, მზია გოგაძემ, დასძინა, რომ მასწავლებლები გავიდნენ კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდებზე და ელოდნენ შედეგებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -15:35
დასრულების დრო - 15:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლას (ს/კ: 247861504) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N2; შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუნდაური, 1-ლი ქუჩის II ჩიხი N1.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N2

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი საკონკურსო პროცედურების ჩატარების, ორივე შენობისთვის შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის პასუხისმგებელ ორგანოსთან შეთანხმების, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული განახლებული ამონაწერის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაარქივების, შესაბამისი სტატუსის/სერთიფიკატის მქონე მასწავლებლების დასაქმების, ხოლო **2026 წლის დეკემბერში** ს აბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - მიხეილ მურვანიშვილის სახელობის დაბა სურამის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 03 ივლისის N845315 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2026 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა პასუხისმგებელ ორგანოსგან მიღებული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მიუხედავად არსებული დაზიანებისა და შენობის საექსპლუატაციო მედეგობის მნიშვნელოვანი დაქვეითებისა, სკოლის შენობის ნგრევა მოსალოდნელი არ იყო ან/და მოსწავლეთა სხვა, ალტერნატიულ შენობაში გადაყვანის, ასევე ღიობის რკინის დამცავი ჯებირით შემოღობვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან მიღებული კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად დაზიანებებისა და შენობის საექსპლუატაციო მედეგობის მნიშვნელოვანი დაქვეითებისა, ვიზუალური დათვალიერების მომენტისთვის, ობიექტზე არსებული დეფექტების ხასიათიდან გამომდინარე, შენობის მზიდი კონსტრუქციების მყისიერი ნგრევა-ჩამოშლა მოსალოდნელი არ იყო. კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ არსებული დაზიანებები დროთა განმავლობაში პროგრესირებადი იყო. წერილის თანახმად, აუცილებელი იყო სკოლის სრული რეაბილიტაციის/აღდგენის სამუშაოების განხორციელება, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ღიობის რკინის დამცავი ჯებირით შემოღობვის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ჟანა ტაბატაძემ, აღნიშნა, რომ მიიღეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შენობის მზიდი კონსტრუქციების ნგრევა არ იყო მოსალოდნელი, თუმცა, იგეგმებოდა სკოლის რეაბილიტაცია და უახლოეს პერიოდში სკოლის შენობას ჩაუტარდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - მიხეილ მურვანიშვილის სახელობის დაბა სურამის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და ღიობის რკინის დამცავი ჯებირით შემოღობვის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:55 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ელექტრონული
ფაქსიმილე
ელექტრონულად